ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-22/011730725 65-17

"29" 01 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, დასახლება ვარკეთილი-3, მიკრო/რაიონი IIIა, ქუჩა რაფიელ დვალი, №11ა-ში (საკ. კოდი №01.19.39.010.053) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3008007 20.12.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, დასახლება ვარკეთილი-3, მიკრო/რაიონი IIIა, ქუჩა რაფიელ დვალი, №11ა-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ა-კ და 2-9 ფასადზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები. კ-ა და 2-9 ფასადზე ±0.00 ნიშნულის ქვემოთ შეცვლილია ფანჯრების მოწყობა. ნაწილობრივ აივნის ძირები შესაღებია. ზოგიერთი ვიტრაჟის ძირი არ არის შევსებული.

„ფასადი კ-ა": კ-კ ღერძთან ±0.00 ნიშნულის ქვემოთ დამატებით მოწყობილია კონდიციონერის გარე აგრეგატი.

„ფასადი 9-2": 7-7 ღერძთან +15.600, +18.600 და +21.600 ნიშნულებზე შემცირებულია კედლების სიმაღლე.

„გეგმა -3.00 ნიშნულზე": 9-8 მონაკვეთში ზ-ზ ღერძზე კარი არ არის შეღებილი.

„ჭრილი ": +23.950 ნიშნულზე არ არის მოწყობილი გადახურვის მონოლითური ფილა. მცირედით შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

±0.00 ნიშნულზე კ-კ ღერძთან შეცვლილია კიბის გაბარიტი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „სტილ ჯგუფი"-ს, ქ. თბილისში, დასახლება ვარკეთილი-3, მიკრო/რაიონი IIIა, ქუჩა რაფიელ დვალი, №11ა-ში (საკ. კოდი №01.19.39.010.053) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №22/01173072565-17 03.11.2017წ. განცხადება.
№წ-22/01173072565-17 06.11.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე